

საქმის ნომერი: Pol 320.10/8 SB 3

ბატონო მინისტრო,

მაქვს პატივი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის სახელით, გერმანიის  
დასავლეთი კავშირების მთავრობებს შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ 1998 წლის  
11 მაისს გაფორმებულ შეთანხმებას, შემოგთავაზოთ შემდეგი შეთანხმება:

1. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა და საქართველოს მთავრობა ერთობლივად ახორციელებენ შემდეგ პროექტს:  
„საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ პირთათვის დაახლოებით 300 ქვის (ბლოკის) სახლის აშენება“
2. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს იმ პირთა ინტეგრაციას ახალ გარემოში, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად ამ ეტაპზე ვერ უბრუნდებიან თავიანთ სახლებს.
3. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა საკუთარი სახსრებით გამოყოფს პერსონალს და მასალას, ასევე შესაბამის შემთხვევებში ფინანსურ დახმარებას, მთლიანობაში მაქსიმუმ 8.000.000,-ევროს (სიტყვიერად: რვა მილიონი ევრო) ოდენობით. პირველ პუნქტში დასახელებული პროექტის განხორციელებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა აკისრებს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას (GTZ).
4. საქართველოს მთავრობა, დაახლოებით 300 ბლოკის სახლის მშენებლობისათვის უსასყიდლოდ გამოყოფს მიწის ნაკვეთს ქ. გორში, კოდი 66 54 22 002 (რეგისტრაციის თარიღი 27.11.2008, №882008350002 განაცხადის საფუძველზე). საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს მომიჯნავე ინფრასტრუქტურას, რაც გამოიხატება შემდეგში: წყალმომარაგების და კანალიზაციის მიყვანა, დენის მიყვანა, გაზის მიყვანა და გზების მიყვანა.


მის აღმატებულებას,  
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს  
ბატონ გრიგოლ ვაშაძეს  
თბილისი

5. საქართველოს მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ყველანაირად უზრუნველყოფს ამ პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის სათანადო ვადებში განხორციელებას. პროექტის პარტნიორი საქართველოს მხრიდან არის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო.
6. პირველ პუნქტში დასახელებული პროექტის დეტალები და ასევე შესასრულებელი სამუშაოები და ვალდებულებები განისაზღვრება განხორციელების ცალკეული ხელშეკრულებებით, რომლებიც უნდა დაიდოს GTZ-სა და იმ ორგანიზაციებს/ფირმებს შორის, რომლებიც შერჩეული იქნებიან ამ პროექტების განხორციელების თხზილთ. პროექტების განხორციელების ხელშეკრულებები რეგულირდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით.
7. თანხმობები პირველ პუნქტში დასახელებული პროექტის და მესამე პუნქტში აღნიშნული თანხის გამოყოფის თაობაზე უქმდება ისე, რომ არ მოხდება მათი შეცვლა სხვა პროექტებით, თუ მეოთხე, მეხუთე და მეექვსე პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები არ შესრულდება 2009 წლის 31 ოქტომბრამდე, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდებიან.
8. საქართველოს მთავრობა ათავისუფლებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დავალებით პირველ მუხლში დასახელებული პროექტისათვის შეძენილ მასალებს სალიცენზიო, აეროპორტის, ნავსადგურის, იმპორტ-ექსპორტისა და სხვა ოფიციალური არაპირდაპირი გადასახადების, საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან, ასევე სანაგებობის სარგებლობის გადასახადებისგან. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს საქონლის შეუფერხებელ განბაჟებას.
9. GTZ-ი არ გადაიხდის ოფიციალურ გადასახადებს, საბაჟო გადასახადებსა და მოსაკრებლებს, რომლებიც დაკავშირებულია წინამდებარე შეთანხმების მე-6 პუნქტში აღნიშნული განხორციელების ხელშეკრულებების დადებასა და მათ შესრულებასთან.
10. მშენებლობის დასრულების შემდეგ სახლები საკუთრებაში გადაეცემა საქართველოს მთავრობას. ეს გადაწყვეტილება არ ეხება ამ შეთანხმების მე-12 პუნქტის მე-2 წინადადებას. საქართველოს მთავრობა ვალდებულია იღებოს, ეს სახლები მათი უფასოდ სარგებლობის მიზნით გადასცეს იმ პირებს, რომლებიც 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად გაძევებულ იქნენ თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან და რომლებიც უახლოეს ხანში ვერ შეძლებენ უკან დაბრუნებას. სახლების მომავალ მობინადრეთა შერჩევა მოხდება სპეციალურად მონვეული ერთობლივი კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ გერმანიის მთავრობის წარმომადგენლები, რომლებსაც წარმოადგენს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო საქართველოში და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები.
11. სახლების განაწილებისას აღნიშნული კატეგორიის პირებზე ერთობლივი კომისია იხელმძღვანელებს კრიტერიუმებით, თანაბარი სოციალური სტრუქტურის, მომავალში ერთად მცხოვრებ პირთა ჯგუფის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და ასევე მომავალ მობინადრეთა სიღარიბის დონის გათვალისწინებით.

12. სახლებში შესახლებიდან ერთი წლის შემდეგ საქართველოს მთავრობა საცხოვრებელ ბინებს სიმბოლურ ფასად, 1 ლარად, საკუთრებაში გადასცემს მე-10 პუნქტში აღნიშნულ პირთა ჯგუფს, მე-2 პუნქტში დასახელებული მიზნის გათვალისწინებით. მიმღებთა შერჩევა მოხდება ისევე მე-10 პუნქტში აღნიშნული ერთობლივი კომისიის მიერ.
13. ყველა სხვა შემთხვევაში, წინამდებარე შეთანხმებაზეც ვრცელდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ 1998 წლის 11 მაისს გაფორმებული უკონსენსუალური შეთანხმების დებულებები.
14. ეს შეთანხმება იდება გერმანულ და ქართულ ენებზე. ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა შეთანხმება 1-14 პუნქტებში შემოთავაზებულ წინადადებებს, მაშინ წინამდებარე ნოტა და თქვენი მთავრობის თანხმობის დამადასტურებელი, თქვენი აღმატებულების საპასუხო ნოტა წარმოადგენენ შეთანხმებას ჩვენს მთავრობებს შორის, რომელიც ძალაში შედის თქვენი საპასუხო ნოტის თარიღით.

ნება მიბოძეთ, ბატონო მინისტრო, დაგიდასტუროთ თქვენდამი უღრმესი პატივისცემა.



(დოქტ. ქრისტინ პერნჰორსტი)

საქმის ნომერი:

ბატონო დროებითო რწმუნებულო,

მაქვს პატივი, დაგიდასტუროთ თქვენი, ... -ით დათარიღებული №... ნოტის მიღება, რომლითაც თქვენ, თქვენი მთავრობის სახელით გეთავაზობთ შეთანხმების დადებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის პროექტის: „ საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ პირთათვის დაახლოებით 300 ქვის (ბლოკის) სახლის აშენება“ განხორციელების შესახებ.

ქვემოთ მოყვანილია თქვენი ნოტის ტექსტი:

„ბატონო მინისტრო,

მაქვს პატივი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის სახელით, ვეყრდნობი რა ჩვენი ქვეყნების მთავრობებს შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ 1998 წლის 11 მაისს გაფორმებულ შეთანხმებას, შემოგთავაზოთ შემდეგი შეთანხმება:

1. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა და საქართველოს მთავრობა ერთობლივად ახორციელებენ შემდეგ პროექტს:

„საქართველოში 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ პირთათვის დაახლოებით 300 ქვის (ბლოკის) სახლის აშენება“

2. პროექტის მიზანია, ხელი შეუწყოს იმ პირთა ინტეგრაციას ახალ გარემოში, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად ამ ეტაპზე ვერ უბრუნდებიან თავიანთ სახლებს.
3. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა საკუთარი სახსრებით გამოყოფს პერსონალს და მასალას, ასევე შესაბამის შემთხვევებში ფინანსურ დახმარებას, მთლიანობაში მაქსიმუმ 8.000.000,--ევროს (სიტყვიერად: რვა მილიონი ევრო) ოდენობით. პირველ პუნქტში დასახელებული პროექტის განხორციელებას გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა აკისრებს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოებას (GTZ).

მის აღმატებულებას,  
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის  
დროებით რწმუნებულს  
ბატონ დოქტ. ქრისტინ პერნჰორსტს  
თბილისი

4. საქართველოს მთავრობა, დაახლოებით 300 ბლოკის სახლის მშენებლობისათვის უსასყიდლოდ გამოყოფს მინის ნაკეთს ქ. გორში, კოდი 66 54 22 002 (რეგისტრაციის თარიღი 27.11.2008, №882008350002 განაცხადის საფუძველზე). საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს მომიჯნავე ინფრასტრუქტურას, რაც გამოიხატება შემდეგში: წყალმომარაგების და კანალიზაციის მიყვანა, დენის მიყვანა, გაზის მიყვანა და გზების მიყვანა.
5. საქართველოს მთავრობა თავისი კომპეტენციის ფარგლებში ყველანაირად უზრუნველყოფს ამ პროექტით გათვალისწინებული საქმიანობის სათანადო ვადებში განხორციელებას. პროექტის პარტნიორი საქართველოს მხრიდან არის ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო.
6. პირველ პუნქტში დასახელებული პროექტის დეტალები და ასევე შესასრულებელი სამუშაოები და ვალდებულებები განისაზღვრება განხორციელების ცალკეული ხელშეკრულებებით, რომლებიც უნდა დაიდოს GTZ-სა და იმ ორგანიზაციებს/ფირმებს შორის, რომლებიც შერჩეულნი იქნებიან ამ პროექტების განხორციელების მიზნით. პროექტების განხორციელების ხელშეკრულებები რეგულირდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობით.
7. თანხმობები პირველ პუნქტში დასახელებული პროექტის და მესამე პუნქტში აღნიშნული თანხის გამოყოფის თაობაზე უქმდება ისე, რომ არ მოხდება მათი შეცვლა სხვა პროექტებით, თუ მეოთხე, მეხუთე და მეექვსე პუნქტებით გათვალისწინებული ღონისძიებები არ შესრულდება 2009 წლის 31 ოქტომბრამდე, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც მხარეები სხვაგვარად შეთანხმდებიან.
8. საქართველოს მთავრობა ათავისუფლებს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დავალებით პირველ მუხლში დასახელებული პროექტისათვის შეძენილ მასალებს სალიცენზიო, აეროპორტის, ნავსადგურის, იმპორტ-ექსპორტისა და სხვა ოფიციალური არაპირდაპირი გადასახადების, საბაჟო გადასახადებისა და მოსაკრებლებისაგან, ასევე სანყობით სარგებლობის გადასახადებისგან. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს საქონლის შეუფერხებელ განბაჟებას.
9. GTZ-ი არ გადაიხდის ოფიციალურ გადასახადებს, საბაჟო გადასახადებსა და მოსაკრებლებს, რომლებიც დაკავშირებულია წინამდებარე შეთანხმების მე-6 პუნქტში აღნიშნული განხორციელების ხელშეკრულებების დადებასა და მათ შესრულებასთან.
10. მშენებლობის დასრულების შემდეგ სახლები საკუთრებაში გადაეცემა საქართველოს მთავრობას. ეს გადაწყვეტილება არ ეხება ამ შეთანხმების მე-12 პუნქტის მე-2 წინადადებას. საქართველოს მთავრობა ვალდებულებას იღებს, ეს სახლები მათი უფასოდ სარგებლობის მიზნით გადასცეს იმ პირებს, რომლებიც 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად გაძევებულ იქნენ თავიანთი საცხოვრებელი ადგილებიდან და რომლებიც უახლოეს ხანში ვერ შეძლებენ უკან დაბრუნებას. სახლების მომავალ მობინადრეთა შერჩევა მოხდება სპეციალურად მონვეული ერთობლივი კომისიის მიერ, რომლის შემადგენლობაშიც შევლენ გერმანიის მთავრობის წარმომადგენლები, რომლებსაც წარმოადგენს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საელჩო საქართველოში და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები.

11. სახლების განაწილებისას აღნიშნული კატეგორიის პირებზე ერთობლივი კომისია იხელმძღვანელებს კრიტერიუმებით, თანაბარი სოციალური სტრუქტურის, მომავალში ერთად მცხოვრებ პირთა ჯგუფის ეკონომიკური შესაძლებლობებისა და ასევე მომავალ მობინადრეთა სიღარიბის დონის გათვალისწინებით.
12. სახლებში შესახლებიდან ერთი წლის შემდეგ საქართველოს მთავრობა საცხოვრებელ ბინებს სიმბოლურ ფასად, 1 ლარად, საკუთრებაში გადასცემს მე-10 პუნქტში აღნიშნულ პირთა ჯგუფს, მე-2 პუნქტში დასახლებული მიწის გათვალისწინებით. მიმღებთა შერჩევა მოხდება ისევ მე-10 პუნქტში აღნიშნული ერთობლივი კომისიის მიერ.
13. ყველა სხვა შემთხვევაში, წინამდებარე შეთანხმებაზეც ვრცელდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ 1998 წლის 11 მაისს გაფორმებული ზემოხსენებული შეთანხმების დებულებები.
14. ეს შეთანხმება იდება გერმანულ და ქართულ ენებზე. ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა ეთანხმება 1-14 პუნქტებში შემოთავაზებულ წინადადებებს, მაშინ წინამდებარე ნოტა და თქვენი მთავრობის თანხმობის დამადასტურებელი, თქვენი აღმატებულების საპასუხო ნოტა წარმოადგენენ შეთანხმებას ჩვენს მთავრობებს შორის, რომელიც ძალაში შედის თქვენი საპასუხო ნოტის თარიღით.

ნება მიბოძეთ, ბატონო მინისტრო, დაგიდასტუროთ თქვენდამი ულრმესი პატივისცემა.”

მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ჩემი მთავრობა ეთანხმება თქვენი ნოტით შემოთავაზებულ წინადადებებს. ამრიგად თქვენი ნოტა და წინამდებარე საპასუხო ნოტა წარმოადგენენ შეთანხმებას ჩვენს მთავრობებს შორის, რომელიც ძალაში შედის წინამდებარე საპასუხო ნოტის თარიღით.

ნება მიბოძეთ, ბატონო დროებითო რწმუნებულო, დაგიდასტუროთ თქვენდამი ულრმესი პატივისცემა.

(ხელმოწერა)